ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1602719

ნომერი: AR1265756

თარიღი : 14.11.2014

გაცემის თარიღი : 19.11.2014

გაცნობის თარიღი : 20.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ჭიაურელის ქ #14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერი ცაავა პ/ნ 39001002407
- სენაკი იპ.ჩხეტიას I ჩიხი N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მასზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით რეკონსტრუქციის განხორციელება, წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში. წარმოდგენილ იქნას შენობის მოცულობით–არქიტექტურული გადაწყვეტის უფრო დახვეწილი სხვა ალტერნატიული ვარიანტი.

ასევე ვინაიდან წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟით ზუსტად ვერ დგინდება თუ რა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოებია გათვალისწინებული და იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

„მოთხოვნის შინაარსის ტექსტში“ დეტალურად აისახოს ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ.

მეტი თვალსაჩინოებისათვის საჭიროა წარმოადგინოთ ესკიზური ნახაზები, როგორც არსებული ასევე საპროექტო.

შედარებით შორის მანძილიდან (აღმაშენებლის ხეივნიდან) გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟები ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.